პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	დასუფთავება და ნარჩენების გატანა 03 01
--	--



პროგრამის გამახორციელებელი	ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქალაქში კომფორტული გარემოს შექმნისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერიტორიაზე სანიტარულ სისუფთავეს. შესაბამისად, საჭიროა ქალაქის ტერიტორიის ყოველდღიური დასუფთავება და ნარჩენების გატანა ტერიტორიიდან. არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები კონტეინერების მოვლა-პატრონობა, რაც გულისხმობს დაახლოებით ყოველდღიურად 85 ტონა მოცულობის ნარჩენების გატანას, აღნიშნულ მომსახურებას ემსახურება სპეც.მანქანები, ასევე ყოველდღიურად ხდება 1686700 კვ/მ ტერიტორიის დასუფთავება და შეგროვებული ნარჩენების გატანა შ.პ.ს "ავტომობილი 2003"-ს ტერიტორიაზე. ასევე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ტექნიკური მარილის მოყრა სავალ პერიმეტრზე. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 386 თანამშრომელი და პროგრამა მოიცავს სამსახურის ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო ხარჯს.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალური ნარჩენების მართვა და მოწესრიგებული და დასუფთავებულია ქალაქის ქუჩები	მიღწეული შედეგი	

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება 03 02		
პროგრამის გამახორციელებელი	აიპ "რუსთავსერვის ცენტრი"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქალაქის განვითარებისა და ეკოლოგიისთვის მნიშვნელოვანი როლი უკავია მწვანე საფარის მოვლა-პატრონობას. შესაბამისად აუცილებელია ყოველდღიურად მწვანე საფარის მოვლა, მორწყვა, განახლება, რაც გულისხმობს სეზონზე ხეებისა და ყვავილების დარგვას, ბალახის დათესვას, ხეების შეთეთრებას, მოჭრა-გადაბეღვას. მოძველებული სარწყავი სისტემის აღდგენას და ახალი სარწყავი სისტემის გაყვანას, პარკის და სკვერების მოვლა-პატრონობას, ასევე ჩვენს სისტემაში შემავალი ობიექტების დაცვა.აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 148 თანამშრომელი.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მოვლილი მწვანე ნარგავები და განახლებული მწვანე საფარი,მოწესრიგებული სარწყავი სისტემა,ყვავილებით მორთული გაზონები,გათიბული პარკი და სკვერები	მიღწეული შედეგი	

პროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ცხოველთა მონიტორინგი 03 03		
პროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	აიპ „ქალაქ რუსთავის ცხოველთა მონიტორინგის ცენტრი“		
პროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში არსებული უპატრონო ძაღლების თავშესაფარში დროებით გადაყვანა, კასტრაცია-სტერილიზაცია და ყველა ძაღლს უკეთდება ვაკცინაცია. თავშესაფარში ძაღლების დაყოვნება ხდება პროცედურების შესაბამისად, ამ პერიოდში უზრუნველყოფილია მათი კვება. ასევე ხდება ძაღლების მარკირება. პროცედურების შემდეგ უზრუნველყოფილია ძაღლების ბუნებრივ გარემოში დაბრუნება. სამსახურში დასაქმებულია 35 თანამშრომელი 8-ქალი და 27 კაცი.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში უზრუნველყოფილია მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვა და დაგაკონტროლებულია ქალაქში შინაური პირუტყვის გადაადგილება	მიღწეული შედეგი	



პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	რუსთავერვის ცენტრის ადმინისტრირების პროგრამა 03 04		
პროგრამის გამახორციელებელი	ა(ა)იპ „რუსთავერვის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სამსახურის სრულყოფილი ფუნქციონირება და დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	თანამშრომელთა კვალიფიციური გადამზადება უკეთესი ხარისხისა და მეტი ეფექტიანობის მისაღებად.	მიღწეული შედეგი	

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	6 685,6
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	2 259,1
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	378,3
06 01 02	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	750,0
06 01 03	მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება	329,5
06 01 04	აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	598,5
06 01 05	გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	202,8
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	4 426,5
06 02 01	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება	1 856,0
06 02 02	სარიტუალო მომსახურებები	26,0
06 02 03	შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე	56,4
06 02 04	შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე	1 162,0
06 02 05	ინდივიდუალური დახმარებების პროგრამები	39,5
06 02 06	უხუცეს მოქალაქეთა დახმარება	2,0
06 02 07	რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა	531,8



06 02 08	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	400,0
06 02 09	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება	30,8
06 02 10	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	86,0
06 02 11	სტუდენტთა სოციალური დახმარება	50,0
06 02 12	სოციალური დახმარებების პროგრამა	85,0
06 02 13	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის პროგრამა	10,0
06 02 14	დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა	65,0
06 02 15	ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	20,0
06 02 16	ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა	6,0

პროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ჯანმრთელობის დაცვა 06 01
პროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
პროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება, მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება, აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება და გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა 06 01 01
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ააიპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ააიპ ქ.რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრში დასაქმებულია 48 თანამშრომელი. ცენტრი სტრუქტურა მოიცავს 2 დეპარტამენტს: მონიტორინგის და ადმინისტრაციის დეპარტამენტი და ეპიდემიოლოგიის დეპარტამენტი. სამსახური ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: პროგრამის მიზანია განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა.
დაგეგმილი შუალედური შედეგი	ჯანმრთელი მოსახლეობა, უსაფრთხო გარემო, ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირება, ქალაქის ტერიტორიაზე პირველადი პროფილაქტიკური ღონისძიებების უზრუნველყოფა



ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება 06 01 02
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) მოქალაქეების ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. აღნიშნული ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ის მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკა და ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობა (წელიწადში არაუმეტეს-2500 ლარი) , კარდიოქირურგიული (წელიწადში არაუმეტეს 2000 ლარი) და გეგმიური ქირურგიული (წელიწადში არაუმეტეს 1000 ლარი) სამედიცინო მომსახურება, კომპიუტერული გამოკვლევები 0-70 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის (წელიწადში არაუმეტეს 500 ლარი). სავალდებულოა ქალაქ რუსთავში რეგისტრაცია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობა უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება 06 01 03
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (0-70 000 ქულის მქონე) მოქალაქეების, შშმ პირების, ომის ვეტერანების, მარჩენალდაკარგული (18 წლის ასაკის მიღწევამდე) პირების სარეიტინგო ქულით 70 001-დან 150 000-ის ჩათვლით მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხის დაფინანსება და დიაბეტით დაავადებული 0-18 წლის ასაკის ბავშვების და მოზარდების სახელმწიფო პროგრამის ზევით გლუკომეტრების შესაბამისი ტესტ-ჩხირებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ ქ.რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული (განცხადების მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში) სოციალურად დაუცველი (0-დან 70 001-მდე ქულის მქონე) მოქალაქეები, შშმ პირები, , მარჩენალდაკარგული (18 წლის ასაკის მიღწევამდე) პირები სარეიტინგო ქულით 70 001-დან 150 000-ის ჩათვლით), რომელთა მედიკამენტების შესაძენად წელიწადში გათვალისწინებულია არაუმეტეს 200 (ორასი) ლარისა, ხოლო ომის ვეტერანებისთვის ერთი მოსარგებლისთვის წელიწადში არაუმეტეს 250(ორას ორმოცდაათი) ლარის მომსახურება. ასევე, შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები და მოზარდები, რომლებსაც ესაჭიროებათ ტესტ-ჩხირებით უზრუნველყოფა. მათზე გათვალისწინებულია წელიწადში არაუმეტეს 4 (ოთხი) კოლოფის ოდენობით. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.
დაგეგმილი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია რუსთავში რეგისტრირებული სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმოადგენელთა მედიკამენტებისა და საანალიზო ტექნიკური საშუალებების დაფინანსება

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება 06 01 04
---	---



კოდი	
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ რუსთავში მცხოვრები და განცხადებით მომართვამდე აქტიური რეგისტრაციის მქონე მოსარგებლე პირის, ხოლო მშობლის 2 წლიანი უწყვეტი რეგისტრაცია (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ). ქვეპროგრამა ითვალისწინებს აუტიზმის მქონე ბავშვების (შემდგომში - ბენეფიციარი) საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შემეცნებითი, თვითმოვლის, მოტორული, სოციალური განვითარების და კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობას. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა. ქვეპროგრამით მოსარგებლები არიან, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0-F84.9) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლამდე ასაკის მქონე ბავშვები. ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის გათვალისწინებულია თვეში არაუმეტეს 17 სეანსის მიწოდება (357 ლარი), თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს 1 საათს, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად. თვეში 17 საათის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა რაოდენობამ უნდა შეადგინოს სეანსების საერთო რაოდენობიდან არანაკლებ 12 სეანსი. დარჩენილი 5 სეანსის შემთხვევაში, შესაძლებელია მიმწოდებლის მიერ ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად მოხდეს მოსარგებლისათვის საჭირო სეანსების მიწოდება (მ.შ. გამოყენებითი ქცევით ანალიზის თერაპია საჭიროებისამებრ, მეტყველების თერაპია, ოკუპაციური/სენსორული თერაპია და სხვა). როცა შეუძლებელია სეანსის ჩატარება ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია სრულად ან ნაწილობრივ სეანსების რაოდენობა გადანაწილდეს შემდეგ თვეებზე.
დაგეგმილი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია აუტიზმის მქონე ბავშვების რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება 06 01 05
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ქ. რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული (განცხადების მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში) გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლის და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების (შემდგომში ბენეფიციარი) შემეცნებითი, თვითმოვლის, კომუნიკაციური და ფიზიკური უნარების განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიას განეკუთვნება გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლის და დაუნის სინდრომის ICD-10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორები - R62-ის შემთხვევაში 0-დან 15 წლამდე დაფინანსდება წლიურად არაუმეტეს 2000,00 (ორი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით (თვეში ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს არაუმეტეს 189.00 (ას ოთმოდცდაცხრა ლარი და 00 თეთრი) ლარს); ხოლო ICD-10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორები G80, Q90-ის შემთხვევაში 0-დან 18 წლამდე მქონე ბავშვები (წელიწადში არაუმეტეს 1000 ლარი). R62 დიაგნოზის შემთხვევაში სავალდებულოა ფსიქოლოგის ან ნეიროფსიქოლოგის დასკვნა. სავალდებულოა ქალაქ რუსთავში რეგისტრაცია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.
დაგეგმილი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია

პროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	სოციალური უზრუნველყოფა 06 02
--	------------------------------



პროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	<p>ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური</p> <p>ა(ა)იპ „რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი“</p>
პროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>1. მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსების ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად, არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და აკმაყოფილებენ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კრიტერიუმს მაინც:</p> <p>ა. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეები,</p> <p>რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს;</p> <p>ბ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.</p> <p>პროგრამით გათვალისწინებულია 2050 ბენეფიციარის დაკმაყოფილება. გამონაკლის წარმოადგენს იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი.</p> <p>2. ა) სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი. პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონესამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომართა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების ანაზღაურებას 300 ლარის ოდენობით. პროგრამით გათვალისწინებულია 20 შუამდგომლობის დაკმაყოფილება. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა</p> <p>ბ) ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში აღმოჩენილი იდენტიფიცირებადი ან არაიდენტიფიცირებადი ადამიანების გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას 200 ლარის ოდენობით. ასევე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე და მცხოვრები სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს) ოჯახის წევრთა სარიტუალო (დაკრძალვის) მომსახურებას. მომსახურების თანხა შეადგენს 400 ლარს. გამონაკლისის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით</p> <p>3. მოხუცებულთა კვებისა და სან. ჰიგიენური მომსახურება, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინიმალური აუცილებლობის ხელშეწყობა, საზოგადოებაში სოციალურ კულტურული ინტეგრაცია, მოხუცების ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</p>
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	<p>აღნიშნული პროგრამით უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გამოკვება მომართვიანობის ლიმიტის ფარგლებში და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.</p> <p>მარტოხელა და სოციალურად დაუცველი უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცებისათვის თავშესაფრის მიცემა და მოვლა-პატრონობა</p>

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება 06 02 01
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი



<p>ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი</p>	<p>ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის</p> <p>ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად,</p> <p>არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს</p> <p>ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და აკმაყოფილებენ</p> <p>ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კრიტერიუმს მაინც:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეები, <p>რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს;</p> <ol style="list-style-type: none"> 2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. <p>პროგრამით გათვალისწინებულია 2050 ბენეფიციარის დაკმაყოფილება. გამონაკლის წარმოადგენს იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი.</p>
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>აღნიშნული პროგრამით უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გამოკვება მომართვიანობის ლიმიტის ფარგლებში და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.</p>

<p>ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>სარიტუალო მომსახურება 06 02 02</p>
<p>ქვეპროგრამის/ლონისძიების გამახორციელებელი</p>	<p>ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური</p>
<p>ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი. პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონესამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების ანაზღაურებას 300 ლარის ოდენობით. პროგრამით გათვალისწინებულია 20 შუამდგომლობის დაკმაყოფილება. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა 2. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში აღმოჩენილი იდენტიფიცირებადი ან არაიდენტიფიცირებადი ადამიანების გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას 200 ლარის ოდენობით. ასევე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე და მცხოვრები სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს) ოჯახის წევრთა სარიტუალო (დაკრძალვის) მომსახურებას. მომსახურების თანხა შეადგენს 400 ლარს. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი.
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>1. ვეტერანების გარდაცვალების შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან სარიტუალო მომსახურების დაფინანსებით</p> <p>მომართვიანობის შესაბამისად 2. უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სარიტუალო მომსახურება</p>



ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	შეღვათი სასმელი წყლის გადასახადზე 06 02 03
ქვეპროგრამის/ლონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია, რუსთავში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის წყლის გადასახადზე შეღვათით სარგებლობის ხელშეწყობა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, ასევე მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირი/ები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 57 000-ს არ აღემატება. სასმელი წყლის მიმწოდებელ კომპანიასთან ანგარიშსწორება ხორციელდება:</p> <p>ა) გაუმრიცხველიანებელი აბონენტებისთვის – საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სასმელი წყლის ზღვრული ტარიფის საფუძველზე, სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიის მიერ მოწოდებული ტარიფის შესაბამისად სულზე არაუმეტეს სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიის მიერ მოწოდებული ტარიფებისა.</p> <p>ბ) გამრიცხველიანებული აბონენტებისთვის სულზე არაუმეტეს 3.75 (სამი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ოდენობით. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი.</p>
დაგეგმილი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი ოჯახების სასმელი წყლის გადასახადის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა

ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	შეღვათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე 06 02 04
ქვეპროგრამის/ლონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
	<p>1. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები,</p> <p>რომელთა სარეიტინგო ქულა არ აჭარბებს 150 000-ს (მგზავრობისას იხდებიან 10 თეთრს);</p> <p>ბ) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (1 და 2 ჯგუფი) (მგზავრობენ უფასოდ); ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იხდებიან 10 თეთრს.</p> <p>გ) სიპო – „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ მიერ მოწოდებულ ვეტერანთა სიაში რეგისტრირებული და შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ვეტერანის მოწმობის (სტატუსი) ან/და მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირები (მგზავრობენ უფასოდ);</p> <p>დ) რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები (10 თეთრი);</p> <p>ე) რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული შემდეგი დაწესებულებების თანამშრომელი (ებ)ლი (იხდებიან 20 თეთრს):</p>



ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი

ე.ა) რუსთავში რეგისტრირებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ;

ე.ბ) ა(ა)იპ – „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“;

ე.გ) ა(ა)იპ – რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება „ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა“;

ე.დ) ა(ა)იპ "რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიული მუნიციპალური დრამატული თეატრი;

ე.ე) ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიულ მუზეუმი“;

ე.ვ) ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“; ე.ზ) ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო-განმავითარებელი ცენტრი კესანე“;

ე.თ) ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“;

ე.ი) ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“; ე.კ) ა(ა)იპ „რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი“.

ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები (30 თეთრი);

ხოლო M3 კატეგორიის ავტობუსით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მგზავრობისას 1.00 ლარის ოდენობით.

ზ) რუსთავში რეგისტრირებული „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პენსიონერები (იხდიან 20 თეთრს);

თ) მრავალშვილიანი მშობელი ოთხი და მეტი შვილით (10 თეთრი);

ი) მარტოხელა მშობელი (10 თეთრი);

კ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების მქონე პირები (20 თეთრი).

ლ) რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებულ პედაგოგებს,

რომლებიც პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებენ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში (20 თეთრი);

2. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად პირს უნდა ჰქონდეს აქტიური რეგისტრაცია ქალაქ რუსთავში (რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევაში მოსარგებლე პირმა 1 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის განახლების დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ისარგებლებს ქვეპროგრამით) ან მუდმივი ბინადრობის ნებართვა, გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.

დაგეგმილი შუალედური შედეგი

ტრანსპორტით გადაადგილების შეღავათებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)

ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი

ინდივიდუარული დახმარების პროგრამები 06 02 05

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური



<p>ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი</p>	<p>1. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე ოჯახების, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ): ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ ჯარისკაცთა ოჯახები;</p> <p>ბ) 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების;</p> <p>გ) 2004 წლის აგვისტოში, შიდა ქართლში, ქართულ ოსურ კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვისას დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების;</p> <p>დ) საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების კომუნალური დავალიანებების (ელ-ენერგია, ბუნებრივი აირი) დაფარვა წლიურად არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა</p> <p>2. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/ მუდმივი ბინადრობის მქონე რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). ბავშვისთვის მოითხოვება მხოლოდ აქტიური რეგისტრაციის სტატუსი. ამ პროგრამის მიზნებისთვის რეინტეგრირებული ბავშვი გულისხმობს 1-დან 18 წლამდე ბავშვს. პროგრამის მიზანს წარმოადგენს რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების კომუნალური დავალიანებების (ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია) გადასახადზე შეღავათის დაწესება. პროგრამით მოსარგებლე თითოეულ ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა 500,00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით, რომლის გახარჯვის შესაძლებლობა ექნებათ 2022 წლის განმავლობაში. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.</p>
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. უზრუნველყოფილია ომის ვეტერანთა ოჯახებისათვის კომუნალური გადასახადების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა. 2. რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების უზრუნველყოფა ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით

<p>ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>უზუცეს მოქალაქეთა დახმარება 06 02 06</p>
<p>ქვეპროგრამის/ლონისძიების გამახორციელებელი</p>	<p>ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური</p>
<p>ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე ასი და ას წელს გადაცილებული 3 (სამი) უზუცესი მოქალაქის დახმარება, თითოეულის წელიწადში არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით. ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.</p> <p>ხანდაზმულთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.</p>
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>ხანდაზმულები უზრუნველყოფილია ერთჯერადი მატერიალური დახმარებით.</p>



კოდი)	ხელშეწყობა 06 02 07
ქვეპროგრამის/ლონისძიების გამახორციელებელი	ა(ა)იპ" რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი"-
ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი	მოხუცებულთა კვებისა და სან. ჰიგიენური მომსახურება, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინიმალური აუცილებლობის ხელშეწყობა, საზოგადოებაში სოციალურ კულტურული ინტეგრაცია, მოხუცების ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მარტოხელა და სოციალურად დაუცველი უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცებისათვის თავშესაფრის მიცემა და მოვლა-პატრონობა

ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება 06 02 08
ქვეპროგრამის/ლონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს, რომელსაც წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს და ჰყავთ 4 და მეტი შვილი. პროგრამით დადგენილი არაუმეტეს 1 წლიანი რეგისტრაცია (ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში) მოეთხოვება მშობელს (განმცხადებელს), ხოლო პროგრამის ბენეფიციარებს (მათ შვილებს) მხოლოდ აქტიური რეგისტრაციის სტატუსი. მატერიალური დახმარება გაიცემა 18 (თვრამეტი) წელს მიუღწეველი შვილების რაოდენობის გათვალისწინებით. დახმარება მოიცავს თითო ბავშვზე ყოველთვიურად 35 ლარის ოდენობით დახმარებას. გამონაკლის წარმოადგენენ დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.
დაგეგმილი შუალედური შედეგი	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან საბაზისო ფინანსური დახმარებით

ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება 06 02 09
ქვეპროგრამის/ლონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი	<p>1. ქვეპროგრამა ითვალისწინებს რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/ მუდმივი ბინადრობის მქონე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერად მატერიალურ დახმარებას. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მიიღებს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო მეორე მსოფლიო ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირები მიიღებს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა ყოველი წლის 9 მაისს. გამონაკლისს წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.</p> <p>2. ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში, 2004 წლის აგვისტოს შიდა ქართლში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საბრძოლო ოპერაციებისას, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლების ოჯახების ერთჯერად მატერიალურ დახმარებას, რომლებიც ქალაქ</p>



	<p>რუსთავში ცხოვრობენ და რეგისტრირებული (ან მუდმივი ბინადრობის მქონე) არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). თითოეული დაღუპული მებრძოლის ოჯახისთვის 500 ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა არაუმეტეს ყოველი წლის 8 აგვისტოს. ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის (გარდა 2008 წელს და 2004 წელს მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში დაღუპული მებრძოლებისა) 200 ლარის ოდენობით, დახმარება გაიცემა არაუმეტეს 27 სექტემბრისა. გამონაკლის წარმოადგენენ დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.</p>
დაგეგმილი შუალედური შედეგი	<p>1. უზრუნველყოფილია დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა მატერიალური დახმარება.</p> <p>2. უზრუნველყოფილია საბრძოლო ოპერაციებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ფინანსური დახმარება</p>

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება 06 02 10
---	--

ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
---	---

ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>1. ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და დაბადებიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის მთელი წლის განმავლობაში ნაწილობრივ ან მთლიანად უზრუნველყოფილი იქნებიან მათთვის საჭირო ბუნებრივი აირით და ელ. ენერჯით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეების, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და არიან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (სტატუსით „უსინათლო“) პირები განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა, ასევე 18 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვებს და რომელთაც სტატუსი მიენიჭათ სამედიცინო ექსპერტიზის კომისიის მიერ მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო და ამასთან დაბადებიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები 18 წლის შემდგომ, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს. ქვეპროგრამა ითვალისწინებს 480 ლარის ოდენობით ბუნებრივი აირის და ელექტრო ენერჯის გადასახადებში ხელშეწყობას. საიდანაც 240 ლარის ოდენობით იფარება ელექტრო ენერჯის გადასახადი და 240 ლარით ბუნებრივი აირის გადასახადი. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა</p> <p>2. ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები ტოტალურ (ნულოვანი მხედველობის) უსინათლო უზრუნველყოფა გამცილებლის მომსახურებით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული/ მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე) მოქალაქეების, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ), რომლებსაც გამცილებლის მეშვეობით ესაჭიროებათ გადაადგილება სამედიცინო დაწესებულებებში, საყოფაცხოვრებო დაწესებულებებში, სახელმწიფო დაწესებულებებში. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.</p>
---	---

დაგეგმილი შუალედური შედეგი	<p>1. უზრუნველყოფილია შშმ პირებთა კომუნალური გადასახადების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა</p> <p>2. ტოტალურად უსინათლო პირები უზრუნველყოფილი არიან გამცილებლის მომსახურებით და ხელშეწყობილი მათი გადაადგილება სხვადასხვა სერვისების მიღების მიზნით</p>
----------------------------	--



ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	სტუდენტთა სოციალური დახმარება 06 02 11
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურმა
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე სტუდენტები (ბაკალავრები), რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ).გამონაკლისის სახით, თუ სტუდენტი ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგენს დოკუმენტს (სკოლის ატესტატს ან ცნობას შესაბამისი სასწავლო დაწესებულებიდან), რომლითაც დადასტურდება, რომ სკოლის დამამთავრებელი ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდა რუსთავის სკოლაში, ჩაეთვალოს ორ (2) წლიან რეგისტრაციად და მიეცეს პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა: ა)სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, ბ)არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; გ) სტუდენტს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აქვს სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობა და მისი აკადემიური შეფასების საშუალო ქულა 81 და მეტია (100-ქულიანი შეფასების სისტემიდან); დ) სტუდენტი სწავლობს სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პრიორიტეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე და მისი აკადემიური შეფასების საშუალო ქულა 81 და მეტია (100-ქულიანი შეფასების სისტემიდან). დახმარება მოიცავს თვეში ერთხელ 60 ლარის ოდენობას.გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.
დაგეგმილი შუალედური შედეგი	აღნიშნული პროგრამით ხელშეწყობილია კრიტერიუმებიდან გამომდინარე რუსთაველი სტუდენტების გადაადგილება თბილისის მიმართულებით.

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	სოციალური დახმარების პროგრამა 06 02 12
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების სადღესასწაულო დღეებში ტკბილეულის გადაცემა (დედის დღე -3 მარტი; აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული; ზავთა დაცვის საერთაშორისო დღე - 1 ივნისი; შობა- ახალი წელი).</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მრავალშვილიანი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს). 2. დღის ცენტრები და მცირე საოჯახო ტიპის ზავთა სახლების ბენეფიციარები. 3. ააიპ „რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი“ ბენეფიციარები. 4. ააიპ „სარეაბილიტაციო-განმავითარებელი ცენტრი კესანე“-ს ბენეფიციარები. 5. ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახები. 6. 2004 წლის აგვისტოს თვეში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპული რუსთაველი მებრძოლების ოჯახები (მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის). 7. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლების ოჯახები (რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე).



	8. დიდი სამამულო ომის მონაწილეები და მათთან გათანაბრებული პირობი,
დაგეგმილი შუალედური შედეგი	აღნიშნული პროგრამით, მოსარგებლე ბენეფიციარების უზრუნველყოფა სასაჩუქრე კალათებით..

ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის პროგრამა 06 02 13
ქვეპროგრამის/ლონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
